პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 79 (20420) ოთხშაბათი, 5 აპრილი, 1989 წელი. ფასი 8 კაპ.

ᲓᲦᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲘᲗ

◎ **რედაქციისათვის** გამოგზავნილ განცხადებაში ახმეტის მკვიდრი ეთერ გორთამაშვილი ჩივის, ჩვენი მოსამართლე ნიკოლოზ თურმანაული მე და ჩემს ქალიშვილს უგულისყუროდ და უხეშად გვექცევაო. ჟურნალისტი თეიმურაზ მეტრეველი საჩივრის შემოწმების შედეგებზე მოგვითხრობს და ამავე დროს მსჯელობს ისეთი ადამიანური თვისებების დეფიციტზე, როგორიც არის თავმდაბლობა და თავაზიანობა, სათნოება და გულისხმიერება („ვილაც ქალს“ გაუჯავრდნენ“).

ᲔᲗ-2 ᲒᲒ.

◎ **ᲕᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲗ** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობის ნარმოდგენას. ამჯერად მკითხველი ეცნობა მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანს ლეონიდე გაბუნიას („**ადამიანი ხვალ უკეთესი იქნება**“).

◎ **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ** ტრიკოტაჟის № 1 ფაბრიკის კოლექტივი შეუფობს დმანისის ქართულ საშუალო სკოლას („**შეფობაც ასეთი უნდა**“).

ᲔᲗ-3 ᲒᲒ.

◎ **ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ** სახლში გაიმართა პრესკონფერენცია სცენარების სრულიად საფრანგეთის ყოველწლიურ კონკურსზე გამარჯვებულ ქართველ რეჟისორ ირაკლი ავირიკაძესთან („**ადამიანი ბედნიერ ადამიანს ეძებს**“).

◎ **ᲒᲐᲘᲪᲐᲜᲘᲗ** — თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ნამუშევარია; ეს „გოხუაა“ — ტრადიციული ჩინური ფერწერა... („**თბილისის საგაზაფხულო ვერნისაჟი**“).

◎ **ᲛᲔᲬᲧᲕᲠᲘ** მაიაკოვსკის რაიონში („**სტიქია და ადამიანები**“).

ᲔᲗ-4 ᲒᲒ.

ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲙᲣᲑᲐᲨᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ, 4 აპრილი. (**საკდესის სპეც. კორ.**). აქ ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად მყოფმა მ. ს. გორბაჩოვმა ორშაბათს ნაშუადღევს გვირგვინით შეამკო ვ. ი. ლენინის ძეგლი, რომელიც ჰავანის პარკში დგას.

მ. ს. გორბაჩოვი და ფ. კასტრო ავტომანქანიდან გადმოდიან და ძეგლისაკენ მიემართებიან. დგება საზეიმო წუთი. სრულდება კუბის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. საბჭოთა ხელმძღვანელი ძეგლს ამკობს გვირგვინით, რომლის ლენტზე წერია: „დიდ ლენინს — მ. ს. **გორბაჩოვისაგან**“.

ამავე დღეს საბჭოთა დელეგაცია ეწვია რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გამოფენას — „ექსპოკუბას“. ეს საგამოფენო კომპლექსი, რომელიც 24 პავილიონისაგან შედგება, სულ სამი თვეა მოქმედებს. მისი გახსნა კუბის რევოლუციის გამარჯვების 30 წლისთავს დაუკავშირდა. დიდ ინტერესს, რომელიც კუბელებსა და უცხოელ სტუმრებს აღუძრა გამოფენამ, მოწმობს ის ფაქტი, რომ მოკლე ხანში იგი 400 ათასმა კაცმა დაათვალიერა.

საბჭოთა და კუბელმა ხელმძღვანელებმა გამოფენის ცენტრალურ პავილიონში დაათვალიერეს ექსპონატები, რომლებიც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას ასახავენ.

ფ. კასტრომ სტუმართა ყურადღება მიაპყრო ერთ-ერთ ექსპონატს. ეს არის კუბელი მეცნიერების მიერ შემუშავებული მიკროანალიზური სისტემა „სუმა“, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის კლინიკური ანალიზისათვის. ასეთი სისტემა წაიღო თან სომხეთში კუბელი ექიმების ბრიგადამ, რომელიც შარშან დეკემბერში გაემგზავრა იქ მიწისძვრის მსხვერპლთათვის დახმარების გასაწევად. იგივე თვითმფრინავით სომხეთში პლაზმის დიდი პარტია ჩაიტანეს.

„ელექტროენერგეტიკის“ პავილიონში სტუმრები შეჩერდნენ პირველი კუბური ატომური ელექტროსადგურის „ხურაგუას“ მაკეტთან, რომელიც სსრ კავშირის ტექნიკური დახმარებით შენდება ქალაქ სიემფუეგოსში. სადგურის ოთხი ენერგობლოკიდან თითოეულის სიმძლავრე 440 მეგავატს შეადგენს.

„ელექტრონიკის“ პავილიონში ავტომატიზაციისა და გამოთვლითი ტექნიკის ეროვნული ინსტიტუტის დირექტორმა სამუელ სავარიეგომ სტუმრებს უამბო, რომ ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების კლავიატურის, ფიდიტერმინალებისა და პროგრამული უზრუნველყოფის წარმოება კუბის ელექტრონული მრეწველობის სპეციალიზაციაა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში. მიმდინარე წლის დამლევისათვის ჰავანის საწარმო „ემკომი“ აიწყობა საბჭოთა კავშირში გასაგზავნი 20 ათასი დისპლეი.

მ. ს. გორბაჩოვმა და ფ. კასტრომ დაათვალიერეს ლერწამსაღები კომბაინი კტპ-2, რომელიც ერთად შექმნეს საბჭოთა და კუბელმა კონსტრუქტორებმა. კუბის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ამ მძლავრი მანქანის შექმნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა გახდა შაქრის მრეწველობის დარგში. წლეულდელ საფრაში ჩაბმული კომბაინების საერთო რიცხვი 4 ათასს აღემატება. ამჟამად მიმდინარეობს მესამე თაობის უფრო მწარმოებლური მანქანის შემუშავება.

• • •

საღამოს ფ. კასტრომ ოფიციალური დარბაზობა მოუწყო მ. ს. გორბაჩოვსა და მის მეუღლეს. დარბაზობას ესწრებოდნენ საბჭოთა დელეგაციის, კუბის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის წევრები.

დარბაზობის დროს მ. ს. გორბაჩოვმა კუბის ხელმძღვანელს გადასცა მისი პორტრეტი, რომელიც ქალაქ ვინიცის მცხოვრებმა ომისა და შრომის ვეტერანმა ვ. ა. დმიტრიევმა შეასრულა.

მ. ს. გორბაჩოვმა საბჭოთა ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში ილაპარაკა ვიზიტის მიმდინარეობის შესახებ. მან, კერძოდ, აღნიშნა:

ძალზე დიდი შთაბეჭდილებები გვაქვს, თუმცა კი კუბაში მხოლოდ ერთი დღე-ღამეა ვიმყოფებით. ჩვენ ვიცით, როგორ ეკიდებიან ჩვენს ქვეყანაში კუბელებს, კუბის რევოლუციას, ფიდელს. გუშინ ჩვენ კიდევ ერთხელ ვიგრძენით, რა გულთბადად ეკიდებიან აქ ჩვენს ადამიანებს.

ინტენსიური, თითქმის უწყვეტი მოლაპარაკება გვაქვს ფიდელთან, სხვა ამხანაგებთან. საამისოდ ყველა შესაძლებლობას ვიყენებთ. ჩემი აზრით, მოლაპარაკების მესამედი მანქანაში მიმდინარეობს.

ფ. კასტრო: თემა ბევრია, მაგრამ დრო არ გვყოფნის.

მ. ს. გორბაჩოვი: ძალზე საინტერესო საუბარი გვაქვს დღევანდელი მსოფლიოს უმწვავეს საკითხებზე. ყველაფერი კარგად არის.

კორესპონდენტი: მიხეილ სერგეის ძევ, ხომ არ გეჩვენებათ, რომ იდეები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამ კონცეფციაში, რომელსაც ჩვენ ახლებური აზროვნების პოლიტიკას ვუწოდებთ, ცალმხრივ ფასდება? ეს ეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს, ეხება ადამიანებს, ეხება ინფორმაციას, ეხება ეროვნულ საკითხებს. ეს ეხება ბევრ, ბევრ, ბევრ... ეს ეხება ... ეს ... ეს ... ეს

რომ კომუნისტის სახელი გვერქვას

„ვილაც ქალს“ გაუჯავრდნენ

ᲕᲘᲫᲐᲠ უშუალოდ კონკრეტულ ფაქტს შევეხებოდეთ, ეტყობა, ამ შემთხვევაში ზედმეტი არ იქნება ცოტა რამ ვთქვათ ისეთ ადამიანურ თვისებებზე, როგორიც თავმდაბლობა და თავაზიანობა, სათნოება და გულისხმიერებაა.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ თავის დროსა და ეამზე ჩვენში ისინი ლამის მთლიანად შთანთქა და წალეკა თანამდებობის პირთა ამბიციურობამ და გულზვიადობამ.

რაც მართალია, მართალია, ათწლეულნახევარი გაბატონებული მართვის ბიუროკრატიული, ავტორიტარული რეჟიმი ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა საამისოდ.

დროთა განმავლობაში თურმე ისე წაგვხდენია საქმე, ახლა დაწყვილებაც კი გვიჭირს ისეთი სიტყვებისა, როგორიც, ვთქვათ, თანამდებობა და თავაზიანობა, ანდა თანამდებობა და სათნოებაა. როგორღაც არ უხდება ისინი ჩვენს წარმოდგენაში დამკვიდრებული „ძლიერი“ ხელმძღვანელის პორტრეტს!

თუ მაინცდამაინც თავმდაბლობაზე ჩამოვაგდებთ სიტყვას, კიდევ არა უჭირს რა, შეიძლება მთლად ზედმეტ ზრახად არ გვეჩვენოს.

არადა, თავად განსაჯეთ, რას გაუყვია ისინი ერთმანეთისაგან, თუ, რაღა თქმა უნდა, დავმდაბლობა ხასიათის თვისებაა და არა იაფფასიანი პოზა.

თავმდაბლობა სამკაული როდიაო — უთქვამთ, — იგი, „დარაჯი გახლავთ სათნოებისა“.

ერთი სიტყვით, ჭეშმარიტად თავმდაბალ კაცს შეუძლებელია ტაქტისა, თავაზიანობისა თუ გულისხმიერების არაფერი ეცხოს.

ჩვენს პარტიულ თუ სამსახურებრივ დახასიათებებს თუ დავუჯერებთ, ლამის ყოველი ჩვენგანი უბრალოებისა და თავმდაბლობის სრულქმნილი განსახიერებაა.

უნდა ვიფიქროთ, ყოველგვარ დახასიათებას ხელაღებით ვერ ვენდობით, თორემ ასე რომ იყოს, არც ამ გულსატკივ ფაქტზე მსჯელობა მოგვიწევდა, რაკი ოფიციალური პირნი ახმეტის რაიონის სახალხო მოსამართლესაც, ესე იგი, იმ კაცს, ვისაც ეს ამბავი ეხება, მეტად გულისხმიერ და თავმდაბალ პიროვნებად ახასიათებენ (ანკი მოსამართლედ სხვაგვარად როგორ ავირჩევდითო).

არც სურვილი მაქვს და არც უფლება, ავიხირო, ზოგ-ზოგნი მას დაუმსახურებლად მიაწერენ ასეთ შესაშურ ადამიანურ თვისებებს მეთქი, მომხდარის გამო სწორედ ამატომაც უფრო მწყდება გული: აბა, კარგი რაღა უნდა იფიქრო, თუკი ასეთი საზოგადოებრივი მდგომარეობისა და ასეთი რეპუტაციის კაცისთვისაც თურმე ხულაც არ არის საძნელო თუ მოესურვება, ისე მოიქცეს, ელემენტარული ეთიკის ნორმებიც კი არაფრად ჩააგდოს.

სიტყვა რომ ძალზე არ გაგვგრძელდეს, მოკლედ მოგახსენებთ: რედაქციისთვის გამოგზავნილ განცხადებაში ახმეტის მკვიდრი ეთერ გორთამაშვილი ჩივის, ჩვენი მოსამართლე, ნიკოლოზ თურმანაული, მე და ჩემს ქალიშვილს, რომელთაც პირადი ცხოვრება ისედაც აგვიწყო-დაგვიწყო, უგულისყუროდ და უხეშად გვექცევაო.

სხვათა შორის, ამ ფაქტის თაობაზე მოსამართლესა და მომჩივანს პირისპირ ლაპარაკი პარტიის ახმეტის რაიკომშიც ჰქონიათ, მაგრამ მაშინ ცხარე საუბარში მაინცდამაინც კარგად „ვერ გაურკვევიათ“ მტყუანი და მართალი.

ისე კი ძნელი სარწმუნოა, რაიონში საკმაოდ ცნობილ და გავლენიან კაცს დედა-შვილი სრულიად უსაბაბოდ და უმიზეზოდ სდებდნენ ბრალს და ისიც ასე საჯაროდ, ასე პირში წადგომით.

რას ვიზამთ, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ: ეტყობა, პატივცემულ მოსამართლეს, მეტი რომ არა ვთქვათ, მართლაც, უღალატა ტაქტის გრძნობამ, როცა მისი მოქმედებით უკმაყოფილო ქალებს ერთხელ პირში მიახალა: ასეც გიქნიათ, ერთმანეთი დაგიწყვეტიათ, რა გვარში დამაკლდებითო, ხოლო მეორედ ეთერ გორთამაშვილის ქალიშვილი, ნინო კურატაშვილი, როგორც იტყვიან, უცერემონიოდ მიაბრძანა კაბინეტიდან, რაკი მან გაბედა და მოსამართლის მოსაზრებისაგან განსხვავებული აზრი გამოთქვა.

როგორი ამბავიც: გულნატკენი ადამიანები მოსამართლესთან რჩევისთვის მიდიან, მათ კი კაბინეტიდან აძევებენ!

— რატომ, რა უფლებით? — სამართლიანად კითხულობს ეთერ გორთამაშვილი — მე ერთი მცირე განათლების მქონე ქალი ვარ და დიდი პრეტენზიებიც არა მაქვს, მაგრამ ჩემი ადამიანური ღირსების ხელყოფა უსიტყვოდ რატომ უნდა მოვითმინო.

სხვათა შორის, იგი ახლა მოსამართლეს ამის გამო კი არ უჩივის, უსამართლო სამართალი გაჩინაო, — პირიქით, — ამბობს — მე, რა თქმა უნდა, ჩემი ინტერესებიდან გამოვდივარ და ამიტომაც იქნება მეჩვენება, რომ განაჩენი მთლად სამართლიანი არ არის. არც ის არის გამორიცხული, მოსამართლე შეცდა, ისიც ხომ ადამიანია. გული იმაზე მტკივა, ადამიანურად რომ ღრეჩერთხელ არ მოგვისმინა და არ დაგველაპარაკა.

რა უნდა ვთქვათ, დიახაც არ მსჯელობს ურიგოდ, როგორც თვითონ ბრძანებს, ეს მცირე განათლების მქონე ქალი.

ისე ნურავინ გამიგებს, მარტო მაგრამ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, თუკი ჩვენ გავითვალისწინებთ იმ უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენას, რომ უძველესი დროიდანვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ხდებოდა აღმოსავლეთ ქართველ ტომთა ინფილტრაცია, რასაც გარკვეული დროიდან მოჰყვა ქართული ქრისტიანობის, ქართული დამწერლობის და შემდეგ საერთოდ ქართული ფეოდალური კულტურის გავრცელებაც. ეი, ამ მრავალსაუკუნოვანი პროცესის შედეგი იყო, რომ VIII საუკუნის აფხაზთა მთავარი და აფხაზი მაღალი ფეოდალური წრეები, ისევე როგორც ეგრისის ფეოდალური საზოგადოება, უკვე ნაზიარები იყო აღმოსავლურ-ქართულ ფეოდალურ კულტურას და მოხდა ერთი შეხედვით თითქოს გაუგებარი რამ: აფხაზები ეგრისში ქმნიან ქართულ სამეფოს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ არავითარი აფხაზური დამწერლობა, აფხაზურენოვანი ქრისტიანობა და ე. ი. აფხაზური ფეოდალური კულტურა ისტორიამ არ იცის.

ამგვარად, XI-XIII საუკუნეების აფხაზეთი ინტენსიური სოფლის მეურნეობის, ქართული ქრისტიანობის და ქართული მწიგნობრობის კერაა.

სრულიად სხვაგვარი ვითარებაა უფრო გვიან, კერძოდ XV-XVIII საუკუნეებში, როდესაც აფხაზეთის მოსახლეობა წარმოგვიდგება არა როგორც მიწათმოქმედი, არამედ — როგორც მესაქონლე, არა როგორც ქრისტიანული, არამედ — როგორც „წარმართი“. ასეთი რადიკალური ეკონომიკური და კულტურული მეტამორფოზი რეგრესისაკენ არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმ პოლიტიკური ძნელბედობით, რაც საქართველოს XIII-XIV საუკუნეებში დაატყდა. ასეთივე ძნელბედობას განიცდიდა აფხაზეთის მეზობელი სამეგრელო, მაგრამ აქ მსგავს ძირეულ ცვლილებებს მოსახლეობის ყოფაში ადგილი არა ჰქონია. ეს და სხვა, XI-XIII საუკუნეებთან შედარებით, სოციალური რეგრესის მაჩვენებელი ფაქტები მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, თუკი ჩვენ გავითვალისწინებთ ერთ დიდი მნიშვნელობის მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა გვიან საუკუნეებში მთელი კავკასიის მასშტაბით: ეს არის კავკასიის მთის მოსახლეობის მოძალება და თანდათანობით ჩამოსახლება პოლიტიკურად დასუსტებულ (ზოგან აყრილ-აოხრებულ) ბარში. ასე იყო კახეთში, ასე იყო ქართლში, ასე იყო აფხაზეთში. აწინდელი აფხაზი მოსახლეობა ზემოხსენებულ მთიელთა და ამორიგენთა შერევის შედეგია.

ეთნიკური საზღვარი აფხაზ და მეგრელ მოსახლეობას შორის ამ დროსაც კლასურ-კოდორზე გადიოდა, რისი ცხადი მოწმობაა თუნდაც ცნობილი კლასურის ომი, რომელიც ოთხმოცდაათ წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. ეს ომი ამავე დროს, ეთნიკური საზღვარი აფხაზებსა და მეგრელებს შორის, რომელიც შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე ასეთად დარჩა (რაც შეეხება იმ ადმინისტრაციულ საზღვრებს, რომლითაც ამჟამად შემოიფარგლება აფხაზეთის ასსრ, ის XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნეში ჩამოყალიბდა აფხაზ მთავართა მიერ სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიის მდინარე ენგურამდე მიტაცების შედეგად).

VIII საუკუნის მეორე ნახევარში, ფეოდალური ურთიერთობის აღმავლობის ხანაში, ბერძენთა ხელშეწყობით აფხაზეთის მთავარმა დაიპყრო დასუსტებული ეგრისის ყოფილი სამეფო, რეზიდენციაა ანაკოფიიდან (დღევანდელი ახალი ათონი) ქუთაისში გადმოიტანა და „აფხაზთა მეფის“ ტიტული მიიღო. ასე წარმოიქმნა ე. წ. „აფხაზთა სამეფო“.

რა ხასიათის მოვლენასთან გვაქვს ჩვენ აქ საქმე?

დღევანდელი აფხაზი ისტორიკოსები იმ აზრისა არიან, რომ ეს „აფხაზთა სამეფო“, დასაწყის პერიოდში მაინც, წარმოადგენდა აფხაზურ ეროვნულ სახელმწიფოს, რომელიც შექმნა, მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, „გამოჩენილმა აფხაზმა სახელმწიფო და პოლიტიკურმა მოღვაწემ ლეონ II-მ“. იგივე ლეონ II-მ გადმოიტანა სატახტო ქალაქი ქუთაისში და რადგან ეს უკანასკნელი ქართული ეროვნული კულტურის ცენტრი იყო, ამიტომ „აფხაზთა მეფის“ ეს აქცია უკვე მოასწავებდა „აფხაზთა ეროვნული სახელმწიფოს“ ქართულ ეროვნულ სახელმწიფოდ გარდაქმნას ზოგადქართული პოლიტიკური კურსით (Ш. Д. Инал-ипа, Вопросы этно-культурной истории абхазов, 1976, стр. 399-404), რაც, საქართველოს გაერთიანებისათვის აქტიური მონაწილეობით გამოიხატა. ამ კონცეფციით სრულიად გაუგებარია, როგორ მოხდა, რომ „აფხაზური ეროვნული სახელმწიფო“, რაც გულისხმობს აფხაზური ფეოდალური კულტურის არსებობას აფხაზური ქრისტიანობის, აფხაზური დამწერლობით და ლიტერატურით, რამდენიმე წელიწადში რადიკალურად გარდაიქმნა ქართულ ეროვნულ სახელმწიფოდ ქართული ფეოდალური კულტურით, ქართული ქრისტიანობით და ქართული საკანცელარიო ენით? როგორ მოხდა, რომ „აფხაზური ეროვნული სახელმწიფოს შემქმნელმა“ ლეონ II-მ თავისივე მეფობისას ისეთი მტკიცითობა აჩვენა, რომ ქართული ეროვნული სახელმწიფოს აქტიური მშენებელი გახდა? როგორღაც „აფხაზი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეა“ იგი? ცხადია, ამაზე ზემოხსენებულ ისტორიკოსებს პასუხი არა აქვთ.

მაგრამ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, თუკი ჩვენ გავითვალისწინებთ ერთ ძალიან დიდ მნიშვნელობის მოვლენას, ესაა ის, ეს ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა

ადამიანი ხვალ უკეთესი იქნება

მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ლეონიდე გაბუნია

ადამიანი რთული ფენომენია და სად ან როდის გამოავლენს მთელ თავის შესაძლებლობებს, ამის წინასწარ განჭვრეტა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ ვინ იცის, რამდენი ნიჭიერი კაცი დადის ამ ქვეყანაზე იმედგაცრუებული, უნავსაყუდელოდ, თვითგვემით. საკუთარი თავის შეცნობა და გამომჟღავნება ბედნიერი შემთხვევითობა როდია. ეს მხოლოდ ძიებით, დიდი მოთმინებითა და შრომისმოყვარეობით არის შესაძლებელი. მარტო ნიჭზე დაყრდნობა მაცდუნებელია.

იფიქრებდა კი ვინმე წინასწარ, ან თაქად თვითონ, რომ ხატვითა და ჰუმანიტარული დარგებით გატაცებული ჭაბუკი შეიცვლიდა გადაწყვეტილებას და საკუთარი ნებით, ერთი შეხედვით ისეთ პროზაულ პროფესიას აირჩევდა, რომელსაც ამ დარგებთან არაფერი საერთო ექნებოდა?

„დედის გაუმჟღავნებელმა გულისწადილმა და მამის ხსოვნისადმი ერთგულებამ" საბოლოოდ გეოლოგიისა და პალეონტოლოგიისაკენ უბიძგა. ლეონიდე გაბუნიამ საბუთები საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე შეიტანა და, როგორც ფრიადოსანი, უგამოცდოდ ჩაირიცხა.

შემდეგ იყო ასპირანტურა, მუშაობა გამოჩენილ მეცნიერებთან ლეო დავითაშვილთან და ალექსანდრე ჯანელიძესთან. ჯერ პლიოცენურ მოლუსკებს იკვლევდა, რაზედაც საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, შემდეგ კი ნამარხი ხერხემლიანებით დაინტერესდა და მეცნიერებათა დოქტორიც სწორედ ამ სფეროში გახდა.

დღეს ბატონი ლეონიდე ძუძუმწოვართა პალეონტოლოგიისა და კაინოზოურის სტრატიგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარია საბჭოთა კავშირში. არის საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს სტრატიგრაფიული კომისიის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის პალეოგენისა და ნეოგენის სტრატიგრაფიის საუწყებათაშორისო კომისიების ბიუროს წევრი და ხერხემლიანთა ჯგუფის ხელმძღვანელი, გრძელვადიანი საერთაშორისო პროგრამის „ადამიანი და ბიოსფერო" საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-პოპულარული სერიის სარედაქციო კოლეგიას, არის სსრკ მეცნიერებათა აკადემიის „პალეონტოლოგიური ჟურნალის" და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნეს" ბიოლოგიის სექციის სარედაქციო კოლეგიების წევრი, საბჭოთა ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიის წევრი და ბიოლოგიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. არის საფრანგეთის გეოლოგიური და ამერიკის ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის საზოგადოებების წევრი, ადამიანის პალეონტოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის წევრ-დამფუძნებელი და აღმასრულებელი კომიტეტის მუდმივი წევრი, აგრეთვე ნეოგენსა და მეოთხეულ სისტემას შორის საზღვრის დამდგენი საერთაშორისო კომისიის ვიცე-პრეზიდენტი, საერთაშორისო ჟურნალის „ევოლუციური თეორია" (გამოიცემა აშშ-ში) სარედაქციო კოლეგიის წევრი და სხვ.

დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში ადამიანს აღარაფერი აოცებს. მაინც გასაკვირია, როგორ ასწრებდა და ასწრებს ბატონი ლეონიდე ამდენს. ამაში, ალბათ, მას ერთი იშვიათი უნარი ეხმარება — შეუძლია უმალ გადაერთოს ერთი სახის საქმიანობიდან მეორეზე, თანაც შესაშური შრომისმოყვარეობით. და კიდევ ის, რომ ბუნებით შემოქმედი კაცია. მისი ინტერესები ფართოა და სცილდება ბიოლოგიასა და გეოლოგიას. ახალგაზრდობისდროინდელი ხატვისადმი მიდრეკილება მეცნიერს ეხმარება თავად შეასრულოს ნაშრომებისადმი ილუსტრაციები, რომლებიც ხშირად არაფრით ჩამოუვარდება პროფესიონალთა ნამუშევრებს. როცა აკადემიკოს ლ. გაბუნიასთან შესახვედრად ვემზადებოდი, წინასწარ წავიკითხე მისი მეცნიერულ-პოპულარული წიგნი „ძველი ხერხემლიანების სამყაროში", რომელიც სავსეა მხატვრული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი ელემენტებით. მაშინვე ვიფიქრე, ავტორს უთუოდ ექნება დაწერილი ლექსები თუ არა, მოთხრობები მაინც მეთქი. გუმანმა არ მიმტყუნა. ერთი ფანტასტიკის ჟანრის მოთხრობა, მოგონებები, ესეები არამცთუ დაუწერია, გამოუქვეყნებია კიდეც.

ეოლიდ, სახელმოხვეჭილი მეცნიერი და პედაგოგი უშუალედად გასცემს ყოველივეს, რაც კი შეუძენია ან ბუნებას დაუმადლებია მისთვის. აი, რა გვითხრა პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა გურამ მჭედლიძემ: „1954 წლიდან ვმუშაობ ამ ინსტიტუტში. აქ რომ მოვედი, ლეო გაბუნია 34 წლისა იყო — ახალგაზრდა, ენერგიული, საოცრად ნიჭიერი. მე მისი მოწაფე გავხდი და დღესაც ასე ვთვლი თავს.

ლეო გაბუნიამ პალეობიოლოგიის ინსტიტუტში შექმნა თავისი აღზრდილი სპეციალისტების მძლავრი ჯგუფი, რომელთა შორის რამდენიმე მეცნიერებათა დოქტორი და მრავალი მეცნიერებათა კანდიდატია. იგი მეცნიერების გამოცდილი ორგანიზატორია — მაღალ მეცნიერულ დონეზე წარმართავს ინსტიტუტის მუშაობას. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებას. მის საერთაშორისო ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ პარიზის პალეონტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე კანდიდატთა შერჩევისას შარშან სწორედ მას მიმართეს თხოვნით გაეწია რეკომენდაცია ერთ-ერთისათვის კანდიდატთა შორის ამ საპატიო თანამდებობის დასაკავებლად. ახლახან კიევში გამოიცა ორი ენციკლოპედია გეოლოგიასა და ბიოლოგიაში. ორივე გამოცემაში არის ლეო გაბუნიასადმი მიძღვნილი სტატიები, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი ორივე დარგში საკმაოდ ავტორიტეტულია.

ბევრი აქვს გაკეთებული ლეონიდე გაბუნიას ქართული მეცნიერების სასახელოდ. თუ გავითვალისწინებთ მისი მეცნიერული ინტერესების მოცულობასა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მრავალფეროვნებას, მუშაობის რიტმსა და ხარისხს მის დაუცხრომელ ენერგიასთან ერთად, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ თავმდაბალ, ზედმიწევნით თავაზიან ადამიანს ჯერ კიდევ ბევრი აქვს სათქმელი და გასაკეთებელი".

და, თქვენ წარმოიდგინეთ, იყო პერიოდი, როდესაც მას, საზღვარგარეთ მეცნიერული კონტაქტებისათვის კი არა, ტურისტად გასვლაც ეკრძალებოდა. არადა, ამ დროს მის შრომებს უცხოეთში უკვე კარგად იცნობდნენ. 1961 წელს ფრანგულად ითარგმნა მისი სქელტანიანი მონოგრაფია საბჭოთა კავშირის ჰიპარიონების შესახებ. უცხოელი კოლეგები ვერაფრით ხსნიდნენ მის „კარჩაკეტილობას", მაგრამ, როგორც იქნა, განიხვნა კედელი და 1966 წელს ლეონიდე გაბუნიას ბელგიაში გამგზავრების უფლება დართეს. ამავე წელს მოსკოვის ბუნებისმეტყველთა პრემია მიეკუთვნა მის შრომას „ბენარის ოლიგოცენურ ხერხემლიანთა ფაუნა". მასში კავკასიისა და სსრ კავშირის მთელი ევროპული ნაწილისათვის პირველადაა დადგენილი ნამარხ ხერხემლიანთა ისეთი ჯგუფების არსებობა, რომლებიც მანამდე მხოლოდ ცენტრალურ აზიასა და დასავლეთ ევროპაში გვხვდებოდნენ. ლეონიდე გაბუნიამ პირველმა დაადგინა ტრანსილვანიაში (რუმინეთი) ინდრიკოთერიუმების (გიგანტური მარტორქების) არსებობა. მან ჯერ კიდევ 1961 წელს შესწავლილი მასალის საფუძველზე, პირველმა მიუთითა ჩვენი ქვეყნის აზიური ნაწილის ტერიტორიაზე ამომწყდარი რიგების — პანტოდონტებისა და დინოცერატების, ოჯახების — იზექტოლოფიდებისა და ჰელალეტიდების არსებობაზე...

ის ყველაფერი რომ ჩამოვთვალო, რაშიც ბატონ ლეონიდეს პირველმკვალავის როლი აქვს შესრულებული, მკითხველს, ალბათ, გადავღლი, მაგრამ ზოგი რამ მაინც უნდა აღვნიშნო. მარკ რუბინშტეინთან ერთად შესრულებული ხერხემლიანთა პალეობიოლოგიისა და იზოტოპური ასაკის მონაცემების ერთობლივი გამოყენებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები ერთ-ერთი პირველი ცდა გახლდათ მსოფლიოში. იგი არის აგრეთვე საბჭოთა კავშირში პალეონტოლოგიის დარგში წარმოებული კვლევის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მასვე ეკუთვნის პირველი გამოკვლევები ამ სფეროში, არის ხერხემლიანთა პალეოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში. აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ რუსული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლის ვ. კოვალევსკის ნაშრომები სწორედ ლ. გაბუნიამ თარგმნა პირველად ფრანგულიდან და ინგლისურიდან რუსულ ენაზე.



მეცნიერს ინსტიტუტში ვეწვიე. ვისაუბრეთ. მე ახლა მტკიცედ ვიცი: ეს კაცი ბედნიერია, რადგან მას შეუძლია თავისი ურთიერთობებით გააკეთილშობილოს ადამიანი, საქმისთვის განაწყოს და გაუღვივოს სიკეთის ნიჭი, რაც ასე გვაკლია დღეს. აი, რას ნერს ერთგან:

„რა მოგველის მომავალში? სამწუხაროდ, არ არსებობს ისეთი რადიოაქტიური იზოტოპი, რომ მომავლის მოვლენათა შეგრძნების უნარი შესწევდეს, რომლის ძალა და მოქმედება მყოფადზე ვრცელდებოდეს.

...რა თქმა უნდა, გვინდა ყოველივე კარგი წარმოვიდგინოთ, ნათელ ფერებში დავხატოთ მომავალი, მაგრამ ამასთანავე ეჭვი გვიღრღნის გულს, რადგან აშკარად ჩანს, რომ ადამიანის ზნეობრივი ევოლუციის დონე დიდად ჩამორჩება ტექნიკის დღევანდელ პროგრესს, იმ მიღწევებს, რომელსაც ის გონებისა და ხელების შემწეობით ქმნის. შეძლებს კი ამ ჩამორჩენის დაძლევას?".

ავტორმა ეს კითხვა ღიად დატოვა თავის წიგნში. ამ კითხვას იქნებ ახლა მაინც გასცეს პასუხი, ვფიქრობდი ჩემთვის და ვცდილობდი ჩვენი საუბარი ამ მხრივ წარმემართა. არ გამოდგა ეს იოლი საქმე. იმიტომ კი არა, რომ იგი თავისი პროფესიის გამო წარსულით ცხოვრობს, ან გადაჭარბებულად ართულებს დღევანდელობის პრობლემებს. არა, მეცნიერმა ადამიანზე თავის წარმოდგენებს ერთ სფეროში მოუყარა თავი და შემდეგ, როცა ეს გავაანალიზე, მივხვდი, რამდენად სწორი, თუმცა ერთი შეხედვით არაპირდაპირი გზა, აირჩია ადამიანის დღევანდელი და ხვალინდელი მდგომარეობის გარკვევისათვის. ვეცდები, თქვენამდე მოვიტანო ლეონიდე გაბუნიას სიტყვები.

— მიუხედავად იმისა, რომ რამდენადმე განყენებულ მეცნიერებას ვემსახურები, ვერაფრით წარმომიდგენია ყოველდღიურობისგან განეზე დგომა. დიახ, მე ღიად დამტოვებია კითხვა: შესძლებს თუ არა ადამიანი თავისი ზნეობრივი ევოლუციის დონის ამაღლებას? მოდით ამაზე იმ კუთხიდან გაგცემთ პასუხს, სადაც მე ვდგავარ. ორგანული სამყაროს ისტორიის ცოდნა თითქოს მიადვილებს ამ კითხვაზე პასუხის გაცემას. მყოფადი არსებითად შეუცნობია, მაგრამ ის, რაც დღეს გვხვდება და ხვალ იქნება, ხომ დიდად არის განპირობებული იმით, რაც უკვე იყო. აწმყოს ღრმად შეცნობა და თუნდაც უახლოესი მომავლის ცოტაოდენ განჭვრეტა შეუძლებელია წარსულის მოვლენათა გაუთვალისწინებლად. მყოფადის ამოკითხვის დაუოკებელი სურვილი ადამიანის გონებრივი აქტიურობის თანდაყოლილი მოთხოვნილებაა. ერთადერთი, რაც გადაარჩენს და აამაღლებს ადამიანს, გონიერება და სიყვარულია. სიყვარული ადამიანისადმი და იმ გარემო სამყაროსადმი, რომელშიც იგი მოქცეულია. მოდით, მე ამას ეკოლოგიურ პრობლემას დაეუკავშირებ. პალეობიოლოგებმა ვიცით, მრავალჯერ ყოფილა ეკოლოგიური კრიზისები წარსულში, ათასწლეულების, მილიონი წლების წინათ, და ისიც ვიცით, რა ძირეული ცვლილებები მოჰყოლია ამას. მაგალითად, დინოზავრების ცხობილი დიდი ამოწყდომა 65 მილიონი წლის წინათ ეოლოგიურად ძალიან სწრაფი პროცესი იყო და მისი მიზეზი სწორედ თავისებური ეკოლოგიური კრიზისი გახლდათ. მაგრამ ბუნებამ მაშინ, როგორც გეოლოგიური წარსულის სხვა მომენტებშიც, აამოქმედა თავისი მძლავრი რეზერვი — ასპარეზზე გამოჩნდნენ დინოზავრების ჩრდილს ამოფარებული პატარა ძუძუმწოვრები და ჩვენი პლანეტის ძველ ხმელეთზე კვლავ იმძლავრა სიცოცხლემ. დღეს კი ადამიანია ის უმძლავრესი ფაქტორი, რომელიც ერთიათად აჩქარებს ბუნებრივ პროცესებს და საფრთხეს უქმნის გლობალურ ეკოსისტემას. როგორც იქნა, მივხვდით ამას და დავიწყეთ ეკოლოგიური პროგრამების შემუშავება. ერთ-ერთია საერთაშორისო გრძელვადიანი პროგრამა „ადამიანი და ბიოსფერო", რომლის 12 პროექტის დამუშავება მიმდინარეობს საქართველოში. ცოტა ხნის წინათ შეიქმნა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის „ბიოსფერულ და ეკოლოგიურ კვლევათა" პროგრამა და ამჟამად ასეთივე რესპუბლიკური პროგრამა მუშავდება. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ მართლა ვიწრწუნეთ ბუნების დაცვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა. უნდა ითქვას, რომ ქართველი კაცისთვის მუდამ დამახასიათებელი იყო ბუნების სიყვარული. ბავშვობაში ხშირად მიხდებოდა სოფლად ყოფნა და კარგად მახსოვს, როგორი სიყვარულით უვლიდა გლეხი წყაროს, ხეს, კორდს, ჯეჯილს. აქ მესაკუთრეული ფსიქოლოგიის ნასახიც არ ჩანდა. თორემ რა რჯიდა თუნდაც თავმომწონე იმერელ კაცს? ლუკმა-პური უჭირდა, მაგრამ ეზო კოინდარით ჰქონდა აბიბნებული. მოიყვანდა იქ სიმინდს. მაგრამ არა, ლამაზი ეზო მისი ღირსების საქმე იყო. ახლა ვინ ფიქრობს მოლზე! ყოველი მტკაველის გამოყენებას ვცდილობთ. რა დამავიწყებს, ბაბუაჩემის ეზოში პირდაპირ აგრონომიული სასწაულები ხდებოდა. გინახავთ ერთ ძირ მსხალზე სამი სხვადასხვა ჯიშის ნაყოფი? ეს რა არის, თხილნარი ჰქონდა, ხუთი ჯიშის თხილი მოდიოდა. ეს ნემსიწვერაო, შვლის ყურიო, ბერძნული და რა ვიცი, რა აღარ იყო. მახსოვს, როგორ ეფერებოდა ხოლმე ჩემი მამიდაშვილი, პატარა სოფლელი ბიჭი, თავის ძროხას. ადამიანი ახლო იყო ბუნებასთან და ეტრფოდა მას. ბოლო დროს ბევრი რამ შეიცვალა, დავკარგეთ თითქოს ბუნების სილამაზის აღქმაც. ახლა ბუნების წიაღში ყოფნა არაჩვეულებრივ ფუფუნებად იქცა. ველარ ვიცლით სამისოდ. თუმცა რაღა დროს ბუნების სილამაზეზეა ლაპარაკი? ეკოლოგიური კრიზისის საფრთხე ემუქრება მთელს ჩვენს პლანეტას. ამიტომაც მიიღო მასობრივი ხასიათი ბუნების დაცვისათვის მოძრაობამ. ის, რომ ჩვენი პლანეტის მთელ მოსახლეობას ერთი საზრუნავი უჩნდება, დიდი იმედის მომცემია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადამიანი ხვალ ცოტათი უკეთესი მაინც იქნება, ვიდრე დღესაა.

თავის დროზე ლ. გაბუნია ჩაუდგა სათავეში აკადემიაში შექმნილ მეცნიერთა ჯგუფს, რომელმაც ყოველმხრივ გააანალიზა ტრანსკავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის არაგვის ხეობაში მშენებლობის ეკოლოგიური პირობები და რომლის დასკვნამ დიდი როლი ითამაშა ამ მშენებლობის პროექტის გადასინჯვის საქმეში. აი რას ბრძანებს ამაზე პატივცემული აკადემიკოსი:

— დღევანდელ პირობებში, როდესაც ეკოლოგიური კრიზისი რეალურ საფრთხედ იქცა და ბუნების დაცვა მსოფლიოს ყველა ხალხის საზრუნავი გახდა, ეკოლოგიური კვლევა და ეკოლოგიური ცოდნის გავრცელება უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს. პრობლემა გლობალურია, მაგრამ ჩვენი პლანეტის ერთი პატარა ნაწილი ხომ საქართველოც არის. თუ საქართველოს ლანდშაფტის არაჩვეულებრივ კონტრასტულობას გავითვალისწინებთ და ანგარიშს გავუწევთ იმასაც, რომ მაღალმთიანეთი, რომელსაც ჩვენი ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი უჭირავს, მეტად მყიფე ეკოსისტემასა, ადვილად დავრწმუნდებით ჩვენში ნამოჭრილ ეკოლოგიურ პრობლემათა სიმწვავეში. ჩვენი ვალია თავიდან ავიცილოთ ბუნების რღვევის შეუქცევადი პროცესები, დავიცვათ ეკოლოგიური წონასწორობა. სწორედ ამ ამოცანას ისახავს მიზნად ბიოსფერული და ეკოლოგიური კვლევის დიდი პროგრამა, რომელსაც ამჟამად ჩვენი აკადემია ამუშავებს. არ უნდა დავიშუროთ ძალა და ცოდნა, რომ რაც შეიძლება მეტად შევუწყოთ ხელი ჩვენში, ეკოლოგიური ცოდნის გაღრმავებას და დაფუძნებას, მით უფრო, რომ, ჩემი ღრმა რწმენით, ეს ჩვენი არსებობის დაფუძნებაც იქნება. არასოდეს ჩვენი ეკონომიკა ისე არ ყოფილა დამოკიდებული ეკოლოგიაზე, როგორც დღეს. მხოლოდ ეკოლოგიურად დასაბუთებული და უსაფრთხო შეიძლება იყოს ჩვენთვის ეკონომიკურად გამართლებული.

ამ ნათქვამს, ალბათ გახსოვთ, ცოტა უფრო ზევით, ბატონი ლეონიდეს გამონათქვამი უსწრებდა: ცოტა არ იყოს განყენებულ საქმეს ვემსახურებიო. სულაც არ არის ასე. იგი ძალიან ბევრს აკეთებს ამ თავისი „განყენებული" მეცნიერებისათვის და უფრო მეტს — ჩვენი ეროვნული თვითმყოფობისათვის.

ლ. გაბუნია, როგორც ქართული აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, რომელსაც ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი, ასე ფიქრობს: ჩემ თანამოსაქმეთა გამოცდილებასა და ცოდნაზე დაყრდნობით, შეძლებისდაგვარად ხელი შევუწყო როგორც საზოგადოებრივ, ისე საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა უმნიშვნელოვნესი მიმართულებების განვითარებას. ვფიქრობ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ იმ პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომლებმაც უკვე მოუპოვა ქართულ მეცნიერებას ფართო აღიარება. მაგრამ, რა თქმა უნდა, საჭირო იქნება არა მარტო მიღწეული მაღალი დონის შენარჩუნება, არამედ მძლავრი განვითარება, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ჭეშმარიტი პროგრესი. მთელი გულისყური უნდა მივაპყროთ ფუნდამენტური კვლევისა და სამეცნიერო-ტექნიკური მეცნიერების საკავშირო და რესპუბლიკური პროგრამების დამუშავებაში ჩვენი მონაწილეობის შედეგიანობის გაუმჯობესებას, საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის უმძლავრეს სამეცნიერო ცენტრებთან კავშირის განმტკიცებას და თანამშრომლობის შემდგომ სრულყოფას. მთელი ძალების მოკრება და ყურადღების დაძაბვა მოგვიხდება აგრეთვე ჩვენი მეცნიერების სათანადო ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფისათვის.

უმნიშვნელოვანეს პრობლემად მესახება ახალგაზრდა კადრების მომზადება, მათი ფართოდ ჩაბმა მეცნიერების ცენტრალური პრობლემების კვლევაში.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო მეცნიერების იმ დარგების შემდგომი მძლავრი განვითარების აუცილებლობა, რომლებიც ჩვენი ეროვნული კულტურის აღზევების, ჩვენი თვითმყოფადობისა და დიდებული ენის შენარჩუნებასა და განმტკიცებას ემსახურება. ჩემთვის, როგორც უთუოდ ყველა ჩემი კოლეგისათვის, არ არსებობს პირველი რიგისა და მეორე რიგის მეცნიერებანი. მეცნიერება ერთია და ყოველმხრივ ვეცდები ხელი შევუწყო ყველა იმ დარგის ჰარმონიული განვითარებას, ქართულ მეცნიერებას რომ წარმოადგენს.

ბევრ ძნელ საქმეს მინდა შევეჭიდო, მაგრამ, როგორც საშუალო საუკუნეების ერთმა უცნობმა ქართველმა ავტორმა თქვა, — „რა კაცმან მართლის გულით გაბედოს რამე და თავის საქმე ღმერთზედ შეაგდოს, გამარჯვება მოუხდების ყოველს საქმეშინგან". — იქნებ გამომადგეს ნუგეშად.



ციცინო მჭედლიშვილი.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ

საკვლევი იუწყება
4 აპრილი



ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ

დიდი ბრიტანეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამ დღეებში ერთსულოვნად აღნიშნავენ ერთ უცილობელ ფაქტს, რომ ინგლისელთა უმრავლესობა უჩვეულო, ცხოველ ინტერესს იჩენს ყოველივე იმისადმი, რაც საბჭოთა კავშირს ეხება. გარდაქმნამ და საჯაროობამ უდიდესი ზემოქმედება მოახდინეს ბრიტანელებზე, რადიკალურად შეუცვალეს წარმოდგენა ჩვენს ქვეყანაზე, იმის იმედი ჩაუსახეს, რომ საერთაშორისო ურთიერთობა გარდაიქმნება ახალ, ჰუმანიტარულ საწყისებზე და თავიდან იქნება აცილებული ომნებისა და სულის დამორგუნველი ბირთვული კატასტროფის მუდმივი საფრთხე.

ამ ინტერესის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა გამოფენა დევიზით „გარდაქმნა მოქმედებს", რომელიც ინგლისში მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტთან დაკავშირებით გაიხსნება ლონდონში საგამომცემლო კორპორაციის „ბაქსელ ბაკმილან პერგამონის" შტაბ-ბინაში.

— ვითვალისწინებ რა პრეზიდენტ გორბაჩოვის ვიზიტის გასაკუთრებულ მნიშვნელობას გარდაქმნის მეტად საინტერესო პერიოდში, — თქვა გამოფენის ინიციატორმა, კორპორაციის მეთაურმა რობერტ მაქსველმა, — ვიმედოვნებ, რომ დიდი ბრიტანეთის მთელ ხალხს (და არა მარტო მინისტრებსა და ოფიციალურ პირებს) გამოფენის ნახვით ექნება შესაძლებლობა დაიკმაყოფილოს იმ მოვლენებისადმი ინტერესი, რომლებიც ამჟამად საბჭოთა კავშირში ბ-ნ გორბაჩოვის ხელმძღვანელობით ხდება.

ბრიტანელები განსაკუთრებით ამაყოფენ იმით, რომ პირველები იყვნენ დასავლეთ ევროპაში, რომლებიც გაგებით მოეკიდნენ სსრ კავშირში დასახულ გარდაქმნებს. ჯერ კიდევ 1984 წელს, ლონდონში ვიზიტად მყოფ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან მ. ს. გორბაჩოვთან მოლაპარაკების შემდეგ, პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა წარმოთქვა სიტყვები, რომლებიც ახლა ქრესტომათიულად იქცა: „ამ კაცთან შეიძლება საქმიანი ურთიერთობა".

საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის ურთიერთობის გაუმჯობესების მაშინ დასახულმა პერსპექტივებმა კონკრეტული გამოხატულება პოვეს უმაღლეს დონეზე მომდევნო შეხვედრების დროს — 1987 წლის გაზაფხულზე სსრ კავშირში მ. ტეტჩერის ვიზიტის და იმავე წლის დეკემბერში ვაშინგტონს მიმავალი მ. ს. გორბაჩოვის ლონდონში ხანმოკლე ჩასვლის დროს.

ხელი მოაწერეს დოკუმენტება პოლიტიკურ, საგაჭრო-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურის სფეროებში ორმხრივი კავშირურთიერთობის განვითარების თაობაზე.

ბრიტანეთში მხურვალე გამოხმაურებას პოულობს აგრეთვე სსრ კავშირის ახალი კურსი საერთაშორისო პოლიტიკაში, საბჭოთა კავშირში განხორციელებული დემოკრატიული გარდაქმნები. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოწმობს, რომ ინგლისში მ. ს. გორბაჩოვი ყველაზე პოპულარული უცხოელი პოლიტიკური მოღვაწეა. მეტწილ ინგლისელებს არ სჯერათ „საბჭოთა საფრთხისა", მხარს უჭერენ „ცივი ომის" პოლიტიკასა და პრაქტიკაზე უარის თქმას, ვითარების გაჯანსაღებას ევროპასა და მთელ მსოფლიოში, საბჭოთა კავშირთან ნორმალურ, კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას, თანამშრომლობას.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში ყველაფერი როდია „იდეალურად და რიგიანად. მთავარი პრობლემაა" ის, რომ ბრიტანეთის ხელმძღვანელობას აშკარად არ სურს გადაჭრით დაგმოს სტერეოტიპები და ძველებური აზროვნება, ძალისმიერი პოლიტიკის კატეგორიები... მ. ტეტჩერი, მართალია, მიესალმება სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნებს, საბჭოთა ხალხს და ხელმძღვანელობას უსურვებს წარმატებებს გარდაქმნის რეფორმების განხორციელებაში, მიესალმება მოსკოვის მოწოდებას საერთაშორისო პოლიტიკაში ახალებური აზროვნების დამკვიდრების თაობაზე, მაგრამ სინამდვილეში არ მომხდარა საჭირო ფსიქოლოგიური გარდატეხა თვით ბრიტანეთის ხელმძღვანელობის აზროვნებაში: იგი მსოფლიოს კვლავ მეტოქეობის, მათ შორის სამხედრო მეტოქეობის პრიზმაში ხედავს.

გასაგებია, რომ ასეთი მსოფლმხედველობის დროს ეროვნული ინტერესებისა და სუვერენიტეტის გარანტიად ბრიტანეთის ხელმძღვანელობას მიაჩნია, უწინარეს ყოვლისა, მძლავრი სამხედრო პოტენციალი, ხოლო რამდენადაც ბრიტანეთი შედარებით პატარა ქვეყანაა და არ ძალუძს მეტოქეობა გაუწიოს სხვა დიდ ქვეყნებს ჩვეულებრივი შეიარაღების სფეროში, ამჯერად იმედს ეროვნული სუვერენიტეტის დასაცავად საკუთარ ბირთვულ იარაღზე ამყარებენ, ბრიტანეთის ხელმძღვანელობა თავისი „შემაკავებელი" ბირთვული ძალების შენარჩუნების იდეის ფანატიკურად ერთგულია, საყოველთაო ბირთვული განიარაღების ლამის მთავარი მოწინააღმდეგეა და თავისი პოზიციით საგრძნობლად აფერხებს წინსვლას უბირთვულიარაღო მსოფლიოსაკენ მიმავალ გზაზე. თავისი პოზიციის დასაცავად ლონდონს მთავარ არგუმენტად მოჰყავს მტკიცება, „ეჭიოდა სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნის წარმატება გარანტირებული არ არის და შეიძლება ახლანდელი პროგრესული ხელმძღვანელობა ძველი ყაიდის მთავრობამ შეცვალოს, რომელიც სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკას უკვე ნაცნობ კალაპოტში დაბრუნებსო. და ამიტომ სრულიად აშკარაა, რომ რაც უფრო მალე განხორციელდება რეფორმები სსრ კავშირში, მით უფრო სწრაფად გახდება შეუქცევადი გარდაქმნა, და, მაშასადამე, მით უფრო მალე გამოეცლება ნიადაგი ამ არგუმენტს ბრიტანელთა თვალში.

პრობლემებისაგან თავისუფალი არ არის საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის თანამშრომლობის სხვა სფეროებიც. ჯერ კიდევ დიდი დაბრკოლებებია თანასწორუფლებიანი ორმხრივი საქმიანი ურთიერთობის განვითარების გზაზე. არის იმის საგანგაშო სიმპტომები, რომ ისინი შეიძლება გაიზარდოს 1992 წელს ევროპის ერთიანი ბაზრის შექმნის დროსათვის. „ეროვან მოქნილობას არ იჩენენ ბრიტანელი პარტნიორები, რომლებიც ზშირად არ ითვალისწინებენ თავიანთი საქონლის შედარებით სუსტ კონკურენტუნარიანობას სხვა ძაღლგანვითარებული ქვეყნებს პროდუქციასთან შედარებით, რომლებთანაც სსრ კავშირს აქტიური სავაჭრო ურთიერთობა აქვს.

მ. ტეტჩერს მრავალგზის უთქვამს, რომ მ. ს. გორბაჩოვთან პირველი შეხვედრისთანავე მათ გამოუმუშავდათ უმაღლეს დონეზე სსრ კავშირ-ბრიტანეთის დიალოგის განსაკუთრებული ხასიათი, რომელიც გამოირჩევა უსაზღვრო ულაზღილობით, პირდაპირობითა და პატიოსნებით. საუბარი ყოველთვის არსებითად მიმდინარეობს, დიპლომატიური ჟარგამებისა და მიჩუმათების გარეშე. როგორც ჩანს, მომავალი შეხვედრის დროსაც ასეთი დიალოგი გაიმართება, რომელიც, ცხადია, ყველა პრობლემას ვერ გადაწყვეტს. მიგრამ ეჭვს არ იწვევს ის, რომ შეიქმნება ინფორმაციული საწინდარი საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის ურთიერთობის და მთლიანად საერთაშორისო მდგომარეობის შემდგომი ნორმალიზაციისათვის.

ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲘᲢᲐᲢᲐ

„მ. ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡ მოგზაურობა კუბაში საბჭოთა ხელმძღვანელის პირველი ვიზიტია ლათინურ ამერიკაში. ამიტომ ყოველივე ის, რასაც იგი ამბობს ან ეტყვის, მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება მთელი რეგიონისათვის. კუბელები საბჭოთა ხელმძღვანელს მეტად გულთბილად შეხვდნენ. ეს მოწმობს იმას, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი თავიანთ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ სფეროში. ეს მოწმობს იმ მხარდაჭერის მნიშვნელობასაც, რომელსაც წლების მანძილზე უწევს მათ საბჭოთა კავშირი".

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲢᲔ-ᲕᲘ-ᲜᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ.

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲞᲠᲔᲡ-ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. აქ გაიხსნა საბჭოთა პრეს-ცენტრი ეუროპელისტებისათვის, რომლებიც გააშუქებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალურ ვიზიტს დიდ ბ

შეხვედრა გამარჯვებულთან

„გრან-პრი“ „აცრემლებულ დონ-ჟუანს“

● „კომუნისტის“ მკითხველთათვის ცნობილია, რომ სცენარების სრულიად საფრანგეთის ყოველწლიურ კონკურსზე ქართველი რეჟისორის ირაკლი კვირიკაძის სცენარს „ლოყებლაღაღა დონ ჟუანის ცრემლები“ — მიენიჭა უმაღლესი პრემია „გრან პრი“. ამ დღეებში თბილისის ჟურნალისტთა სახლში გაიმართა პრესკონფერენცია. პრესის მუშაკებს შეხვდნენ საფრანგეთის კინოფირმა „ბარნაბა ფილმის“ გენერალური დირექტორი პატრიკ დე ლა ნო, მეორე რეჟისორი ტონი აბოვიანცი და ირაკლი კვირიკაძე.

პრესკონფერენციის მონაწილეებს ქართველი რეჟისორი, სტუმრები ესაუბრნენ კონკურსის მიმდინარეობის შესახებ, აგრეთვე თავიანთ სამომავლო გეგმებზე.

— საინტერესოა თვით კონკურსის იდეა, — განაცხადა ი. კვირიკაძემ, — უცხოეთში სცენარისტმა წინდაწინ იცის რეჟისორის თუ ფირმის დაკვეთით რა ხასიათის ნაწარმოები შექმნას, მაგრამ ლიტერატორს, ცხადია, საკუთარი იდეა, პოზიცია, მოსაზრებაც გააჩნია. მისი ხორცშესხმისათვის, დაფინანსებისათვის სჭირდება პროდიუსერი, დაინტერესებული პირი. ამგვარი სპონსორის გამოძებნა კი შეიძლება სცენარების კონკურსზე — საჭიროა მთავარი პრიზის მოპოვება. წლევანდელ კონკურსში მონაწილეობა მიიღო 420 ავტორმა. რამდენიმე საფეხურად დაყოფილი კონკურსის ბოლო ტურში გავედით აღიარებული რეჟისორი და სცენარისტი რიჩარდ დამბო (მისმა ფილმმა „დიაგონალმა“ 1984 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ხელოვნების აკადემიის მთავარი პრიზი მოიპოვა) და მე. პარიზის ერთ-ერთ განთქმულ კაფეში, სადაც კონკურსის ბოლო ტური მოეწყო, შეიკრიბნენ მსოფლიოში სახელმოხვეჭილი რეჟისორები, მსახიობები, პროდიუსერები, მწერლები. ჟიურის საბოლოო ხადაწყვეტილების გამოცხადებამდე მთელი ყურადღება რიჩარდ დამბოსკენ იყო მიმართული, წინასწარ ულოცავდნენ, რადგან ეჭვი არავის ეპარებოდა მის გამარჯვებაში. და აი, მოულოდნელად, ჟიური აცხადებს ჩემს გვარს, ყველასათვის უცნობს. საღამოს მონაწილეთა გაოცება უსაზღვრო იყო: ფრანგული „გრანპრი“ საქართველოში! ეს სენსაცია აღმოჩნდა ფრანგებისათვის, მაგრამ რაკი თავგზიანი ხალხია, გოცებაც მალე

მხურვალე მოლოცვებმა შეცვალა.

„ბარნაბა ფილმმა“ ქართველ რეჟისორს შესთავაზა სცენარის ეკრანული ხორცშესხმა, რომლის დიდ ნაწილსაც ი. კვირიკაძესთან ერთად გადაიღებს საფრანგეთის ცნობილი კინორეჟისორი ტ. აბოვიანცი. მომავალი ფილმისათვის მსახიობები უკვე შერჩეულია. მთავარ როლებს შეასრულებენ ზურაბ ყიფშიძე და მარი ტრინტინიანი.

პრესკონფერენციაზე სტუმრებმა ისაუბრეს თანამედროვე კინოხელოვნების პრობლემებზე. ძალზე დიდხანს ელოდნენ, თურმე საფრანგეთის კინოდარბაზები მაყურებლებს, რომლებიც ტელევიზიამ და ვიდეომ გადაიბირა, — თქვა პატრიკ დე ლა ნომ, — და აი, ისინი კვლავ გამოჩნდნენ... როგორც ჩანს, მოენატრათ ფართო ეკრანი, კინოსათვის ჩვეული სიმყუდროვე.

— ჩვენ კი,—დაუმატა ირაკლი კვირიკაძემ, — ფილმების ჩვენების კულტურაც მოსაწესრიგებელი გვაქვს, უცხოეთში კინო მხოლოდ ეკრანი როდია, იგი მოსაცდელი დარბაზით იწყება და გასასვლელით თავრდება, და ყველგან მაყურებლისათვის განსაკუთრებული პირობაა შექმნილი.

დასასრულ, ირაკლი კვირიკაძემ, პატრიკ დე ლა ნომ და ტონი აბოვიანცმა უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.

სოსო ბალაშვილი.

• • •

სურათზე: ირაკლი კვირიკაძე (წინა პლანზე), პატრიკ დე ლა ნო და ტონი აბოვიანცი შეხვედრისას

სიმონ კილაძის ფოტო.

მშვენიერი ხალამო

ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის ლიტერატურული ურთიერთობების სახლი სტუმრებით ივსო. აქ თავი მოიყარეს სხვადასხვა პროფესიის არაქართულენოვანმა ადამიანებმა. ვიდრე საღამო დაიწყებოდა, კოლეგიის თავმჯდომარემ ოთარ ნოდიამ ორიოდე სიტყვით განგვიმარტა ასეთი შეხვედრების დანიშნულება.

— უკვე ათი წელია, — გვითხრა მან, — საქართველოში სისტემატურად იმართება საკავშირო სემინარები, რომელთა ძირითადი მიზანი საბჭოთა ხალხთათვის ქართველი ერის ლიტერატურული და კულტურული ფასეულობების გაცნობაა. ეს მეტად საჭირო ღონისძიება საკავშირო მსმენელს გულისხმობს და რატომღაც ყურაღლების მიღმა დარჩა თბილისის არაქართულენოვანი ინტელიგენციისა. ამიტომ გადავწყვიტეთ ისეთი საღამოების მოწყობა, სადაც ქართული სიტყვითა და კულტურით დაინტერესებულ თბილისელებს გულთბილ მასპინძლობას გაუწევენ კოლეგიის თანამშრომლები. ეს საღამოები სხვადასხვა ხასიათის იქნება და ყოველ ორ კვირაში ერთხელ გაიმართება. მოვიწვევთ პოეტებს, პროზაიკოსებს, მსახიობებს, მუსიკოსებს... გვინდა, განვაახლოთ ამ სახლის პუშკინისდროინდელი სმირნოვ-როსსეტის სალონის ტრადიციები.

საღამოს მწერალი ვახუშტი კოტეტიშვილი უძღვებოდა. მან წაიკითხა ნარკვევი, რომელიც მთავარი სარედაქციო კოლეგიის მიერ მომზადებულ და დასავლეთ გერმანიაში გამოცემულ წიგნს დაერთვის. ეს გახლავთ წიგნი — ექსკურსი საქართველოში, მის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, რომელიც ფოტოების საშუალებით უხვადაა წარმოდგენილი ქართული კულტურის ძეგლები, ხელოვნებისა და ყოფა-ცხოვრების ამსახველი კადრები (ანალოგიური წიგნი გამოიცემა იტალიაშიც). მწერალმა ვრცლად და საინტერესოდ ილაპარაკა ქართულ ზეპირსიტყვიერებაზე და თანამედროვე ხალხურ პოეზიაზე. წაიკითხა რჩეული ნიმუშები. სტუმრებმა დიდი ინტერესი და ყურადღება გამოიჩინეს ქართული ზეპირსიტყვიერების მიმართ.

ლუიზა ჯაყელი.

ახალი ავტომატური ტელეფონის სადგური

● ვესტია (საკ. კორ.) შარშან მესტიის ცენტრი დაამშვენა კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ახალმა სამსართულიანმა შენობამ, რომელშიც კომპაქტურად განლაგდა გამაძლიერებელი პუნქტი, ტელეგრაფი, საქალაქთაშორისო კავშირის ვრცელი დარბაზი, 1000-ნომრიანი ავტომატური ტელეფონის სადგური, კლუბი და საფოსტო მომსახურების სხვა ობიექტები.

ამ დღეებში კი დაიწყო ახალი სატელეფონო სადგურის მონტაჟი. რაიონული კვანძის ხელმძღვანელები ვარაუდობენ, წლეულს დაამთავრონ 200-ნომრიანი შემაერთებელი ავტომატური ტელეფონის სადგურის მშენებლობა ბეჩოში, მაზერსა და ცხუმარში. აბონენტები კმაყოფილი არიან ეცერის, ფარის, ლახამულას, კალასა და უშგულის ავტომატური ტელეფონის სადგურების მუშაობით.

▼▼

კოოპერატივი „მეცნიერება“

● ხელვაჩაური (საკ. კორ.). ხშირად სოფლის მოსახლეობა ჭარბად, განუსაზღვრელი რაოდენობით იყენებს მინერალურ სასუქებს, რაც აფუჭებს, ასუსტებს მცენარესა და მის ნაყოფს. ამავე დროს, ზედმეტი სასუქი ნიადაგს ფიტავს მიკროელემენტებისაგან.

ხელვაჩაურელმა სპეციალისტებმა, მეცნიერმა მუშაკებმა, აგრონომებმა, სტუდენტებმა გამოსავალს მიაგნეს. მათ ჩამოაყალიბეს კოოპერატივი „მეცნიერება“, რომელიც აგრონომიულად სწავლობს საკარმიდამო და იჯარით აღებულ ნაკვეთებს, ადგენს ნიადაგის შემადგენლობას და იძლევა შესაბამის რეკომენდაციებს, საზღვრავს მცენარეთა მავნებლების, სოკოვან და ვირუსულ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს.

კოოპერატივს შეუძლია საკუთარი ტექნიკით გასწიოს მცენარეთა დაცვის სამუშაოები. ლირებულებას ფართობისა და მცენარის დაავადების მიხედვით განსაზღვრავენ.

სპორტის ამბები

ფეხბურთი

პირველი გამარჯვება

თბილისის „დინამო“ — ხარკოვის „გოვერლა“ 2:1 (2:1)

ქართველმა ფეხბურთელებმა პირველი გამარჯვება მოიპოვეს მიმდინარე ჩემპიონატში. მასპინძლებმა ორივე გოლი მეორე ტაიმში გაიტანეს, თუმცა შესვენებამდეც შეეძლოთ დაწინაურება — „მეტალისტის“ კართან არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა, თუმცა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი სტუმრებსაც ჰქონდათ.

განახლდა შეხვედრა და ანგარიშიც გაიხსნა: მოედანზე ახალგამოსულმა კაჭარავამ მეტოქის საჯარიმოში მიიღო ბურთი, გვერდი აუარა მცველს, მეკარეს და ახლო კუთხეში ზუსტად დაარტყა. ამ ეპიზოდიდან მოყოლებული დინამოელთა უპირატესობა უფრო ხელშესახები გახდა: გუნდი სწრაფად ათამაშდა, ბევრს მოძრაობდნენ წინა ხაზის ფეხბურთელები, მოედნის ცენტრს კი მთლიანად დაეუფლნენ ჩვენი ნახევარმცველები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცაავა. მისი ოსტატური, მახვილგონივრული თამაშის წყალობით მასპინძელთა შეტევები უფრო მრავალფეროვანი და სახიფათო გახდა. 71-ე წუთზე ხარკოველთა მეკარე კუტეპოვს კიდევ ერთხელ მოუხდა საკუთარი კარიდან ბურთის გამოტანა: კაჭარავა-ფანცულაიას კომბინაცია ამ უკანასკნელმა გოლით დაადგირგვინა... ხარკოველებმა საპასუხო გოლი 77-ე წუთზე გაიტანეს — პენალტი ზუსტად დაარტყა შჩერბაკმა — 2:1. ასე დამთავრდა ეს უდავოდ საინტერესო მატჩი, რომელმაც არ შეიძლება ოპტიმისტურად არ განაწყოს თბილისის დინამოელები და მათი თაყვანისმცემლები.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, თედეევი, სვანაძე, ცვენიბა (კაჭარავა), ცაავა, ფანცულაია, გოგიჩაიშვილი (ქეცბაია).

წყალბურთი

ნერვებმა უმტყუნა

● თბილისსა და მოსკოვში დამთავრდა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მეოთხე ტური. ჩვენ უკვე გაცნობეთ თბილისში გამართული მატჩების შედეგები, მაგრამ არაფერი გვითქვამს თბილისისა და ლვოვის დინამოელთა შეხვედრაში მომხდარ ინციდენტზე. სამწუხაროა, რომ „მასპინძელთა გუნდი აშკარად დაიალატა დიმიტრი რამიშვილმა, რომელიც, სხვათა შორის, კარგად თამაშობდა ამ ტურში, მაგრამ ბოლო შეხვედრაში ნერვებმა უმტყუნა და მეტოქის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის სარბიელიდან გააძევეს. ეს მოხდა მესამე პერიოდში. სტუმრებმა, ცხადია, გამოიყენეს რიცხვობრივი უპირატესობა და გაიმარჯვეს — 12:8.

ახლა ჩემპიონატს 24 ქულით დამაჯერებლად ლიდერობს მოსკოვის „დინამო“, 20 ქულით მეორე ადგილზე არიან მოსკოველი არმიელები, 19-19 ქულა მოუგროვეს თბილისისა და ლვოვის დინამოელებმა. ამრილის ბოლოს უმაღლესი ლიგის რვაგუნდიანი მოსკოვში შეიკრიბება და წინასწარი ტურნირის ბოლო შეხვედრებს გამართავს. ამის შემდეგ გამოვლინდება ოთხი საუკეთესო კოლექტივი, რომლებიც ჩემპიონატის მედლებისათვის გააგრძელებენ ბრძოლას.

საფუძვნირო ორბიტა

● კალათბურთი. კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატში მორიგი გამარჯვება მოიპოვა კაუნასის „ჟალგირისმა“. ჩემპიონატის ლიდერებმა იოლად მოუგეს რიგის ვეფს — 110:72 (62:42), ცხკმ სტუმრად დაამარცხა ვილნიუსის „სტატბა“ — 91:74 (42:36).

● თავისუფალი ჭიდაობა. საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა მსოფლიო თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. ეს შეჯიბრება აშშ-ს ქალაქ ტოლედოში გაიმართა. ფინალში ჩვენმა ფალავნებმა დაამარცხეს მასპინძელთა გუნდი. ამ გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ტაჰეტანეს ტაშენტელმა არსენ ფაძაევმა (68 კგ), ორჯონიკიძელმა ვლადიმერ ტოგუზოვმა (52 კგ), ციროვკანელმა სტეფან სარკისიანმა (62 კგ), მახაჩკალელებმა — რუსლან კარაევმა (57 კგ) და გამზატ ხაზაროვმა (74 კგ).

საბჭოთა და ამერიკელ მოჭიდავეებთან ერთად თასის გათამაშებაში მონაწილეობდნენ კანადის, კუბისა და ხამბრეთ კორეის გუნდები.

● მაგიდის ჩოგბურთი. ქალთა გუნდებს შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მერვედ მოიპოვეს ჩინელმა ჩოგბურთელებმა. მათ ფინალში ანგარიშით 3:0 დაამარცხეს სამხრეთ კორეის გუნდი. მესამე ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ ჰონკონგისა და უნგრეთის სპორტსმენები — 3:0.

სტიქია და ადამიანები

გუნება კვლავ ჭირვეულობს

ყლევანდელმა ზამთარმა დასავლეთ საქართველოს დიდი ზიანი მიაყენა. ბუნების ჭირვეულობამ გაზაფხულზეც იჩინა თავი. მეწყერი კვლავ გააქტიურდა სჩხერეში, ჭალითურაში, ორჯონიკიძეში, ზესტაფონში, თერჯოლაში, ტყიბულში...

ამ დღეებში სტიქია აბობოქრდა მაიაკოვსკეში. მეწყერმა დააზიანა ქალაქის, სოფლების ობჩის, დიმის, წითელწყაროს და ფერხათის საცხოვრებელი სახლები, საყოფაცხოვრებო ობიექტებისა და კულტურული დანიშნულების ობიექტები. მწყობრიდან გამოვიდა 50 მექანიზმდე საკარმიდამო მიწის ნაკვეთები მრავალწლიანი ნარგავებით, 150 მექანიზმდე საზოგადოებრივ მურნეობათა სავარგულები. შექმნილი მდგომარეობა 120-მდე ოჯახის დაუყოვნებლივ გასახლებას მოითხოვს. საფრთხე ემუქრება აქტიურ მეწყერულ ზონაში მცხოვრებ 280-ზე მეტ ოჯახს.

სტიქიურმა მოვლენებმა რაიონს 15 მილიონი მანეთის ზარალი მიაყენა, მათ შორის 5 მილიონისა — სახალხო მეურნეობას. მსხვერპლი არ ყოფილა.

მოსახლეობა გრძნობს ხელისუფლების ზრუნვას. დაძაბულად შრომობენ სახდაზღვევის, არქიტექტურული დაგეგმარებისა და მიწათმომწყობი სამსახურები, რათა დაზარალებულთ დაუყოვნებლივ გამოეყოთ მიწის ნაკვეთები, დაზღვევის თანხები, საცხოვრებელი სახლის პროექტები.

ვაჟა თევდორაძე,
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.



სურათზე: დამეწყრილი სახლი მაიაკოვსკის რაიონში.

გურამ ბერსამიას ფოტო.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მშრალი ამინდი, მაღალმთიანეთში ზვავი, აღმოსავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში ღამით 6-11, დღისით 22-27, ზღვისპირეთში — 17-22, მთაში — ღამით 4-9, დღისით 17-22, მაღალმთიანეთში — ღამით 1-6, დღისით 12-17 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში: მშრალი ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ბარში ღამით 7-12, დღისით 22-27, მთაში — ღამით 2-7, დღისით 16-21, მაღალმთიანეთში — ღამით მინუს 3-პლუსს 2, დღისით 11-16 გრადუსი.

თბილისში — მშრალი ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ღამით 10-12, დღისით 25-27 გრადუსი სითბო.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

ფაქტი • მოვლენა • კომენტარი

„გრან-პრი“ „აცრემლებულ დონ-ჟუანს“

თბილისის საგაზაფხულო ვერნისაჟი

გაზაფხული რუსთაველის გამზირზე იბადებაო, თქვა პოეტმა. ბუნების საოცარი გარდაქმნა ამ ქუჩას მართლაც სხვაზე ადრე უცვლის ხოლმე იერს. საგაზაფხულო ვერნისაჟმა სახალიხე შემატა თბილისის მხატვრის სახლსაც. დამთვალიერებელი არ აკლია საბჭოთა და ამერიკელ მხატვარ-იმპრესიონისტთა გამოფენას. 20 მარტს კი აქ საზეიმოდ გაიხსნა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრების ექსპოზიცია. იგი სასწავლებლის ფარგლებს გარეთ პირველად ეწყობა, ამიტომ მოხალწოლეობის სურვილი მრავალმა ახალგაზრდა ხელოვანმა გამოთქვა. ნამუშევრების შერჩევა აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებმა მთლიანად სტუდენტთა კომისიას მიანდეს.

— მომავალი მხატვრის სრულყოფისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ფართო აუდიტორიასთან კონტაქტს, — თქვა აკადემიის პროფესორმა დიმიტრი ხახუტაშვილმა. — ნახატებში იგრძნობა ახალგაზრდების შინაგანი სამყაარო, მათი პოზიცია, თვალსაწიერი, აზროვნების მასშტაბურობა, რაც ცხადყოფს, რომ სასწავლებელში წმინდა აკადემიურ პრინციპებს გარდა სტუდენტები თავისუფალი შემოქმედების წყაროსაც ეწაფებიან.

სამხატვრო აკადემიის რექტორმა თენგიზ ფერაძემ მაღალი შეფასება მისცა ახალგაზრდების ხელოვნებას.

— სტუდენტური ვერნისაჟები ხვალინდელი რესპუბლიკური თუ საკავშირო გამოფენების შეფასების საწინდარი უნდა გახდეს, მათი ტრადიციად დამკვიდრება საშური და სასარგებლო საქმეა,— თქვა მან.

წარმოდგენილია ათობით სტუდენტი მხატვრის ფერწერული, გრაფიკული ნამუშევარი, კერამიკა, გობელენი.

* * *

განწყობილება ერთბაშად იქმნება. თითქოს დარბაზში ისმოდეს ტილოზე დახატული ჩანჩქერის ხმაური; ნახატის მაყურებელი ჩამავალი მზის თვითმხილველი ხდება...

ეს „გოხეაა“ — ტრადიციული ჩიხური ფერწერა, რომლის საგანს ბუნება წარმოადგენს. მისთვის დამახასიათებელია ხატვის თავისებური მანერა, გამორჩეული ტექნიკა, კომპოზიციური მთლიანობაც და ცალკეულ დეტალთა საოცარი აღქმა. საერთოდ, ჩიხურ ხელოვნებაში — მხატვრობისა და ლიტერატურაში — ბუნებას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ხელოვანი პეზაკის მისეულ განცდას გვთავაზობს, მიუხედავად ამისა, იგი ახლობელი და მისაღებია ჩვენთვისაც.

ნთქვამია — ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო. ამ დღეებში ქართველი საზოგადოების წინაშე თავისი შემოქმედებით წარსდგა სსრ კავშირის მხატვართა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხატვართა კავშირის საპატიო წევრი ცზიან ში ლუნი. თბილისის მხატვრის სახლში ჩინელი ხელოვნის 81 ნამუშევარია გამოფენილი.

მხატვარი ხმარობს ტუშსა და აკვარელს, ხოლო ტილო წინასწარ არის დამუშავებული, დასველებული.

ცზიან ში ლუნი ლიტერატორია, ხატვა ადრეულ ასაკში დაიწყო და მისთვის არასდროს მუნუნებია თავი. ნახატთა უმრავლესობა ნატურიდან აქვს შესრულებული.

მხატვრის თითოეულ ნამუშევარში ბუნებისადმი კრძალვა, მოწიწება იგრძნობა. ფერები აქ შედარებით ერთგვარია, ძირითადად მუქი, თუმცა ეს მას არ უშლის ხელს სრულად გადმოგვცეს ზაფხულის ან შემოდგომის ფერების სიუხვე.

ცზიან ში ლუნის გამოფენა უთუოდ დაიინტერესებს სახვითი ხელოვნების ეროვნული ინსტიტუტის მოყვარულთ. იგი თბილისში 20 დღეს გასტანს.

სოსო თოიძე.

სურათებზე: ჩინელი მხატვარი ცზიან ში ლუნი; გამოფენა თბილისის მხატვრის სახლში.

თედო ნიკოლაიშვილის („კომუნისტი“) ფოტო.

ფერილი „კომუნისტს“

რატომ გაქრა „ქალგულოს“ პირველი ვარიანტი?

ცნობილ კახურ სიმღერას „ქალგულოს“ უკვე კარგახანია მღერის ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი თეიმურაზ ქევხიშვილის ხელმძღვანელობით; მღერის, უნდა ითქვას, რომ მშვენივრად. მაგრამ ეს ამ სიმღერის სხვა, მეორე, თავად თ. ქევხიშვილის დამუშავებული ვარიანტია, რის გამოც თავისთავად ლოტბარს მადლობის მეტი არა ეთქმის, მაგრამ არსებობს მისი თავდაპირველი ვარიანტიც, რომელიც არ უნდა დაგვეკარგოს, და რომელიც ამ მეორეზე ნაკლები არაფრით არის. სხვათა შორის 1948 წელს ქ. თბილისში თვითმოქმედი ანსამბლების ოლიმპიადაზე ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის გუნდმა შეასრულა ეს სიმღერა, რისთვისაც ჯილდოდ პატეფონი დაიმსახურეს.

ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ „ქალგულოს“ პირველი ვარიანტი გაცოცხლდება (მით უმეტეს, რომ იგი დაკარგული არ არის), და მეორე, გადამუშავებულ ვარიანტთან შენაცვლებით დრო და დრო მოვისმენთ ხოლმე.

ნოე ციციშვილი,
ყვარლის რაიონი, სოფელი ახალსოფელი.

სადაც კი პოეტს ფეხი დაუდგამს...

ახლახანს მოსკოვის გამომცემლობა „პროფიზდატმა“ გამოსცა მეტად საყურადღებო წიგნი „პუშკინის ადგილები“ ორ ნაწილად. წიგნი პოლიგრაფიულად შესანიშნავად არის დასტამბული (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ტიპოგრაფია. „გრაფიმე ვერკე ცვიკაუ“) და უხვად არის ილუსტრირებული. იგი დაწერილია საბჭოთა ავტორთა კოლექტივის მიერ. წინასიტყვაობა აკადემიკოს დ. ლიხაჩოვს ეკუთვნის.

ეს წიგნი ნამდვილი ენციკლოპედიაა ა. ს. პუშკინის ცხოვრებისა და შემოქმედებისა. გამოცემა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მასში დაწერილებით არის მოთხრობილი იმ ადგილებზე, სადაც კი პოეტს ოდესმე ფეხი დაუდგამს: აღწერილია ყოველი ქალაქი, სოფელი, ქუჩა, შენობა — ყოველივე, რამაც გარკვეული როლი შეასრულა ა. ს. პუშკინის ცხოვრებასა და შემოქმედებაში; დადგენილია პირები, რომლებიც პოეტს შეხვედრიან მოგზაურობის დროს და მეგობრობდნენ მასთან. გარჩეულია ის ნაწარმოებები, რომლებიც მიეძღვნა ამა თუ იმ ადგილს ან დაინერა იქვე. საუბარია მისი ნაწარმოებების თარგმანებზე სსრ კავშირის ხალხთა ენებზე. მეტად დიდია წიგნების გეოგრაფიული არეალი: მოსკოვი და მისი შემოგარენი, ლენინგრადი და მისი მიდამოები, ფსკოვის მხარე, უკრაინა, ყირიმი, მოლდავეთი, ჩრდილოეთ კავკასია და ამიერკავკასია, ურალი, ვოლგისპირეთი.

ბუნებრივია, რომ ამ გამოცემაში საქართველოს სათანადო ადგილი ეთმობა. ამ თავის ავტორია ი. ბოგომოლოვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილების გამგე. ავტორი ა. ს. პუშკინის პირად წერილებზე დაწერილი მოგონებებისა, მისი ნაწარმოებების ნაწყვეტებზე დაყრდნობით, გადაგვიშლის პოეტის საქართველოში მოგზაურობის პანორამას. იძიებს ჯერ კიდევ ბავშვობაში საქართველოსადმი აღძრული ინტერესის სათავეებს. აღწერს, თუ როგორ იზრდებოდა ეს ინტერესი თანდათან და ბოლოს, როგორ ეწვია იგი საქართველოს 1829 წელს.

ი. ბოგომოლოვი მოგვითხრობს, აგრეთვე, საქართველოს იმ ადგილების ისტორიაზე, რომლებიც დაკავშირებულია ა. პუშკინის მოგზაურობასთან, აღწერს იმ არქიტექტურულ ძეგლებს, რომლებსაც მოუხიბლავთ პოეტი. მკითხველი ეცნობა ქართული ინტელიგენციის დამოკიდებულებას პუშკინისადმი. ავტორი არჩევს პუშკინის იმ ნაწარმოებებს, რომლებიც საქართველოს ეძღვნება, აღნიშნავს, რომ პუშკინის ნაწარმოებები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ითარგმნა ქართულ ენაზე. ეს იყო რუსი პოეტის ქმნილებათა უცხო ენაზე თარგმნის ერთ-ერთი პირველი ცდა. აღწერილია ა. ს. პუშკინის შეხვედრები საქართველოში გადმოსახლებულ მეგობარ დეკაბრისტებთან.

აღნიშნული თავი ილუსტრირებულია პუშკინისდროინდელი ლითოგრაფიებით, ნ. ჩერნეცოვისა და გ. გაგარინის სურათებით, პუშკინის ნახატებით, იმ ქართველ მოღვაწეთა პორტრეტებით, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ პოეტთან, თბილისის არქივებში დაცული მასალით, ერმაკოვისეული ფოტოებით და ქართველ მხატვართა იმ ნამუშევრებით, საქართველოში პუშკინის ყოფნას რომ ასახავენ. აქვეა რუკა, რომელზეც აღნიშნულია პოეტის ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში მოგზაურობის ადგილები, ამ თავს თან ერთვის საქართველოს შესანიშნავი ფერადი ხედებიც.

აღსანიშნავია, რომ ი. ბოგომოლოვს ეკუთვნის წიგნის ის ნაწილიც, რომელიც ეხება პუშკინის მოგზაურობას ჩრდილოეთ კავკასიაში.

აღნიშნული წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს არა მარტო სპეციალისტებს, არამედ ყველას, ვინც დაინტერესებულია დიდი რუსი პოეტის ცხოვრებითა და შემოქმედებით.

წიგნი ეძღვნება ა. ს. პუშკინის დაბადების 190 წლისთავს (აღინიშნება წლეულს ივნისში).

მანანა ნინიძე.

კონკურსზე გიწვევთ სსრ კავშირის სახელმწიფო

სატელევიზიო და რადიოთეატრის შემდგომი განვითარებისა და ცენტრალურ ტელევიზიასა და საკავშირო რადიოში სამუშაოდ საუკეთესო შემოქმედებითი ძალების — ქვეყნის წამყვანი დრამატურგებისა და რესპუბლიკებიდან, მხარეებიდან და ოლქებიდან ავტორთა ფართო წრეების მოზიდვის მიზნით, სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი 1989 წელს მოსკოვში აწყობს საკავშირო კონკურსს საუკეთესო სატელევიზიო და რადიოპიესაზე, სადაც მხატვრული ხერხებითა და ფორმით აისახება გარდაქმნის მიმდინარეობა ჩვენს ქვეყანაში ამ ამოცანათა შუქზე, რომლებიც დასახა სკკპ XXVII ყრილობამ და XIX საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ.

კონკურსის მიზანია, ხელი შეუწყოს მრავალეროვნული საბჭოთა ტელე-და რადიოდრამატურგიის, ასევე ტელე-და რადიოთეატრების შემდგომ განვითარებას, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობისათვის თანამედროვე თემაზე მნიშვნელოვანი საყურადღებო, ნათელი და ღრმა აზრით გამსჭვალული დრამატურგიული ნაწარმოებების შექმნას, მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებისა და შემოქმედებითი კავშირების ტელე- და რადიოთეატრების თანამშრომლობის გაფართოებასა და განმტკიცებას.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც პროფესიონალ დრამატურგებსა და მწერლებს — შემოქმედებითი კავშირების წევრებს, ასევე იმ ავტორებს, რომლებიც არ არიან კავშირის წევრები. კონკურსზე დაიშვება ორიგინალური ტელე-და რადიოპიესები, აგრეთვე ავტორის მიერ შექმნილი ინსცენირება საკუთარი პროზაული ან პოეტური ნაწარმოების მიხედვით, რომელიც მანამდე არ გამოქვეყნებული და არც დადგმული.

კონკურსის ჟიური განსაზღვრავს 6 საუკეთესო სატელევიზიო და 6 საუკეთესო რადიოპიესას. ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო დრამატურგიული ნაწარმოებებისათვის, რომლებიც გამოირჩევა ჩანაფიქრისა და მხატვრული გადაწყვეტის ორიგინალობით და რომლებიც უპასუხებენ კონკურსის პირობებს, დაწესებულია შემდეგი პრემიები

სატელევიზიო პიესები:
ერთი პირველი პრემია — 3000 მანეთი,
ორი მეორე პრემია — 2000 მანეთი თითოეული.
სამი მესამე პრემია — 1000 მანეთი თითოეული.
რადიოპიესებში:
ერთი პირველი პრემია — 3000 მანეთი,
ორი მეორე პრემია — 2000 მანეთი თითოეული;
სამი მესამე პრემია — 1000 მანეთი თითოეული.

ტელე-და რადიოპიესების ავტორები — საკავშირო კონკურსის. ლაურეატები, ასევე ჟიურის მიერ საგანგებოდ აღნიშნული ნამუშევრები დაჯილდოვდებიან სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის და სსრ კავშირის შემოქმედებითი კავშირების საპატიო დიპლომებით; საუკეთესო ტელე-და რადიოპიესები, რომლებიც აღინიშნება კონკურსზე, დადგმება ცენტრალურ ტელევიზიასა და საკავშირო რადიოში.

ტელე-და რადიოპიესები საკონკურსოდ უნდა გამოგზავნოთ არაუგვიანეს 1989 წლის 1 ნოემბრისა.

კონკურსის შედეგებს ჟიური გაგაცნობთ ა. წ. 15 დეკემბრამდე.

ავტორებმა, რომელებსაც სურთ კონკურსში მონაწილეობის მიღება, თავიანთი ნაწარმოებები უნდა გამოგზავნონ დევიზით. ხელნაწერს თან უნდა ახლდეს კონვერტი წერილით, რომელშიც მითითებულია: ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, ბინის მისამართი და პროფესია. წერილი უნდა იყოს მანქანაზე დაბეჭდილი 2 ინტერვალით და 2 ცალად.

სატელევიზიო პიესები უნდა გაიგზავნოს მისამართით: 127000, მოსკოვი, აკადემიკოს კოროლიოვის ქ. 12, ცენტრალური ტელევიზიის ლიტერატურულ-დრამატული პროგრამების მთავარი რედაქცია — „სატელევიზიო პიესების კონკურსისათვის“.

რადიოპიესები იგზავნება მისამართით: 121810, მოსკოვი, კაჩალოვის № 24, საკავშირო რადიოს ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა მთავარი რედაქცია — „რადიოპიესების კონკურსისათვის“.

(საქინფორმი).

ტელევიზია—ოთხშაბათი, 5 აპრილი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.05 — „ნაშ